

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2022

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გზა 2015

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	10
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	11
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	11
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი.....	11
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	11
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	11
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12
3.7. ძირითადი საშუალებები.....	12
3.8. არამატერიალური აქტივი.....	12
3.9. მოგების გადასახადი.....	13
3.10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები.....	13
3.11. საწესდებო კაპიტალი.....	13
3.12. დივიდენდები	13
3.13. შემოსავალი	14
3.14. ხარჯები.....	14
შენიშვნა 4: ამონაგები	14
შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება.....	14
შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
შენიშვნა 7: მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	15
შენიშვნა 8: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16
შენიშვნა 9: ფინანსური ხარჯი.....	16
შენიშვნა 10: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	17
შენიშვნა 11: ფული და ფულის ექვივალენტები	19
შენიშვნა 12: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	20
შენიშვნა 13: სასაქონლო მატერიალური მარაგი	20
შენიშვნა 14: გრძელვადიანი სესხები	21
15. რისკების მართვა.....	21
15.1. ლიკვიდურობის რისკი	21
15.2. სავალუტო რისკი.....	22
16. პირობითი ვალდებულებები	22
17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	22
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23
მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა.....	25

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „გზა 2015“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გზა 2015“-ს („კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოგება-ზარალის, საბალანსო, ფულადი მოძრაობის ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების უწყისებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „მოდულიზებული დასკვნის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხისა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოდულიზებული დასკვნის საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 20 ივნისს და შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ვერ დავაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ფიზიკურ გადათვლას. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის, ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 3 368 318 ლარის (2021: 3 117 528 ლარი), 8 420 764 ლარის (2021: 8 800 599 ლარი) და 524 823 ლარის (2021: 1 320 ლარი) ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას) 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშგო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს გზა 2015-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.


შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესადარებლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
ლევან ლლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.

აუდიტის წარმართვისას, ჩვენ ვმოქმედებდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, რომელიც მოითხოვს ჩვენს მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმარებასა და წარმართვას, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ აუცილებელი პროცედურების ჩატარებას. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს მატერიალური უზუსტობების (მათ შორის თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული) არსებობის რისკების შეფასებას. ზემოაღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაგეგმოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმისთვის, რომ გამოთქვას მოსაზრება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია შიდა კონტროლის სისტემა.

აუდიტი ასევე მოიცავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მიზანშეწონილობის, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და უზრუნველყოფს კვალიფიციური მოსაზრების გამოთქმის საფუძველს.

დასკვნა

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კობა სალუქვაძე
შპს ექსპერტ ჯგუფი
29 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლის
ანგარიშგება

	შენიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ამონაგები	4	17,213,915	14,903,366
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(7,970,073)	(6,860,332)
საერთო მოგება		9,243,842	8,043,034
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,100,759)	(4,767,613)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	(2,614,885)	(929,303)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	8	813,727	1,104,601
საოპერაციო მოგება		3,341,925	3,450,719
ფინანსური შემოსავალი	9	-	10,504
ფინანსური ხარჯი		(234,546)	(295,885)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(234,546)	(285,381)
მოგება დაბეგვრამდე		3,107,379	3,165,338
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,107,379	3,165,338
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან		-	(304,746)
მთლიანი სრული შემოსავალი		3,107,379	2,860,592

დირექტორი
ლევან ლლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,073,231	8,369,154
არამატერიალური აქტივები		347,534	431,445
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		-	-
		8,420,764	8,800,599
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,338,599	149,805
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12	2,090,072	1,477,299
საგადასახადო აქტივები		18,222	-
მარაგები	13	3,368,318	3,117,528
		6,815,212	4,744,632
მთლიანი აქტივები		15,235,976	13,545,231
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		1,250,246	1,250,246
გადაფასების რეზერვი		1,141,451	1,314,421
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,001,429	1,147,331
მიმდინარე მოგება		3,107,379	3,165,338
		9,500,505	6,877,336
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	3,507,193	3,559,745
გრძელვადიანი ფინანსურ იჯარა ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		3,507,193	3,559,745
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	14	138,645	1,051,671
ფინანსურ იჯარა		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,089,633	1,955,811
საგადასახადო ვალდებულებები		-	100,669
		2,228,278	3,108,151
მთლიანი ვალდებულებები		5,735,471	6,667,896
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		15,235,976	13,545,231

დირექტორი
ლევან ლლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
2021 წლის 1 იანვარი	1,250,246	1,619,167	1,810,183	4,679,596
წმინდა მოგება			3,165,338	3,165,338
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი			-	-
გადაფასების რეზერვი		(304,746)	117,334	(187,412)
გაცემული დივიდენდი			(780,186)	(780,186)
წინა პერიოდის კორექტირებები			-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	1,250,246	1,314,421	4,312,669	6,877,336
წმინდა მოგება			3,107,379	3,107,379
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი			-	-
გადაფასების რეზერვი		(172,970)	172,970	-
გაცემული დივიდენდი			(484,210)	(484,210)
წინა პერიოდის კორექტირებები			-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	1,250,246	1,141,451	7,108,809	9,500,505

დირექტორი
ლევან ლლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი

თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		3,107,379	3,165,338
კორექტირება:			
მოგების გადასახადი			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,028,178	1,512,739
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან		172,970	(304,746)
მარაგები		(250,790)	(911,687)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(630,995)	(133,627)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		133,823	608,171
საგადასახადო ვალდებულებები		(100,669)	66,621
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		3,459,895	4,002,807
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,459,895	4,002,807
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(905,225)	(3,622,380)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		83,911	(53,993)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(821,313)	(3,676,373)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	-
გაცემული დივიდენდები		(484,210)	(780,186)
სესხები		(965,578)	(384,807)
ფინანსურ იჯარა		-	(49,404)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		(1,449,788)	(1,214,396)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	8	1,188,794	(887,962)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		149,805	1,037,768
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		1,338,599	149,805

დირექტორი
ლევან ღლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს გზა 2015 („კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლის 01 აპრილს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 404491126.

კომპანიის ძირითად ბიზნეს-საქმიანობას წარმოადგენს საშენი მასალების მოპოვება, ბეტონის პროდუქციის სამშენებლო მასალის (სამშენებლო ბლოკი) წარმოება და ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №144/ პასტერის ქ. N 2,

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია:

მფლობელი		2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გიონი იაკობაშვილი	38001009362	100%	100%

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 67-ს (2021 – 68).

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიას მართავს დირექტორი: ლევან ღლონტი (პ/ნ 33001008511), საქართველოს მოქალაქე.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.702	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.504

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის საქონლის მიწოდება/მომსახურება და აღიარა შემოსავლად

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადავს ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7. ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა:
შენობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-10 წელი

3.8. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

3.9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

3.10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2022 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 484,210 ლარი (2021: 663,158 ლარი).

3.12. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.13. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.14. ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შენიშვნა 4: ამონაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2022 ლარი	2021 ლარი
საქონლის მიწოდება	17,213,915	14,902,900
მომსახურების გაწევა	-	466
სულ	17,213,915	14,903,366

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2022 ლარი	2021 ლარი
ძირითადი მასალების დანახარჯები	5,182,501	4,219,601
ცვეთა და ამორტიზაცია	719,001	1,084,613
წარმოების სატრანსპორტო დანახარჯები	1,309,059	640,076
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	303,321	537,086
დამხმარე მასალები	456,191	357,090
გადაზიდვის ხარჯი წარმოებაში		21,864
სულ	7,970,073	6,860,332

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 ლარი	2021 ლარი
შრომის ანაზღაურება	2,576,802	2,177,740
საწვავის ხარჯი	-	1,475,815
ცვეთა და ამორტიზაცია	824,622	245,040
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	-	235,876
კომუნალური ხარჯი	360,551	333,174
ბუღალტრული და იურიდიული მომსახურების ხარჯები	5,379	112,448
ოფისის ხარჯები	3,876	4,125
სხვა საგადასახდო ხარჯი	78,484	62,612
საიჯარო ქირა	45,000	49,947
საპენსიო ფონდის ხარჯი	51,615	46,624
ბანკის საკომისიო ხარჯი	17,503	19,038
კომუნიკაციის ხარჯები	5,897	2,081
მივლინების ხარჯი	-	3,091
სხვა	131,030	-
სულ	4,100,759	4,767,613

შენიშვნა 7: მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2022 ლარი	2021 ლარი
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	779,327	393,581
ცვეთა და ამორტიზაცია	65,017	183,085
შენახვის ხარჯები	1,770,540	352,637
სულ	2,614,885	929,303

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 8: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	2022	2021
	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(1,523,053)	(729,033)
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	353	(443,971)
ჯარიმები, საურავები და სხვა არასაგადასახადო ხარჯი	5,050	3,583
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	692,948	64,820
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	10,975	
სულ	(813,727)	(1,104,601)

შენიშვნა 9: ფინანსური ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის წმინდა ფინანსური ხარჯები მოიცავდა:

ფინანსური ხარჯი - წმინდა	2022	2021
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავლები		-
სასემოსავლოს შეღავათი კოვიდ-19-თან დაკავსირებით		(10,503.80)
საპროცენტო ხარჯები	234,546.02	295,885.18
სულ	234,546	285,381

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 10: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავდა:

	მიწა	შენობები	სხვა	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	ლიზინგი	მსუბუქი კონსტრუქციები	იჯარით აღებული ქონება	სულ
თვითღირებულება												
1 იანვარი 2021	721,790	2,146,595	818,511	18,231	2,540,158	137,765	9,126	2,497,657	89,068	56,459	159,420	9,194,780
შემოსვლა	185,934	902,082	33,873	-	752,588	64,499	28,092	1,641,923	165,217	-	-	3,774,209
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	(163,830)	-	-	-	(163,830)
გასვლა	-	-	-	-	(51,773)	(17,414)	-	(17,614)	(26,720)	-	-	(113,521)
31 დეკემბერი 2021	907,724	3,048,677	852,384	18,231	3,240,974	184,850	37,219	3,958,136	227,565	56,459	159,420	12,691,637
შემოსვლა	104,932	10,216	-	(0)	92,914	37,483	7,269	568,200	-	5,085	-	826,099
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(43,604)	-	-	-	-	(201,008)	-	-	-	(244,611)
31 დეკემბერი 2022	1,012,656	3,058,893	808,780	18,231	3,333,888	222,333	44,487	4,325,328	227,565	61,544	159,420	13,273,125

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ცვლილება და გაუფასურება	მიწა	შენიშვნები	სხვა	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	ლოჯინგი	მსუბუქი კონსტრუქციები	იჯარით აღებული ქონება	სულ
1 იანვარი 2021	-	45,725	34,238	13,627	1,384,839	78,948	3,632	1,319,009	66,801	34,593	71,189	3,052,601
პერიოდის ცვლილება	-	114,412	41,431	3,646	574,291	32,491	4,857	530,574	37,171	11,032	23,913	1,373,817
გასვლა	-	-	-	-	(51,773)	(17,414)	-	(12,036)	(22,712)	-	-	(103,936)
31 დეკემბერი 2021	-	160,137	75,670	17,274	1,907,357	94,025	8,489	1,837,547	81,259	45,625	95,102	4,322,483
პერიოდის ცვლილება	-	108,681	33,907	957	526,467	48,914	7,746	137,015	36,161	7,794	23,913	931,554
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(54,143)	-	-	-	(54,143)
31 დეკემბერი 2022	-	268,818	109,576	18,231	2,433,824	142,939	16,235	1,920,418	117,420	53,419	119,015	5,199,894

წმინდა საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2021	721,790	2,100,870	784,273	4,603	1,155,320	58,818	5,494	1,178,648	22,267	21,866	88,231	6,142,179
31 დეკემბერი 2021	907,724	2,888,540	776,715	957	1,333,617	90,826	28,730	2,120,589	146,306	10,834	64,318	8,369,154
31 დეკემბერი 2022	1,012,656	2,790,075	699,204	-	900,065	79,395	28,253	2,404,910	110,145	8,125	40,405	8,073,231

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	ლიცენზიები	სულ
თვითღირებულება		
1 იანვარი 2021	685,522.04	685,522.04
შემოსვლა	301,084.91	301,084.91
გადაფასება	-	-
გასვლა	(329,606.95)	(329,606.95)
31 დეკემბერი 2021	657,000.00	657,000.00
შემოსვლა	12,711.86	12,711.86
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	669,711.86	669,711.86

ცვეთა და გაუფასურება		
1 იანვარი 2021	308,070.12	308,070.12
პერიოდის ცვეთა	138,921.15	138,921.15
გასვლა	(221,436.50)	(221,436.50)
31 დეკემბერი 2021	225,554.77	225,554.77
პერიოდის ცვეთა	96,623.34	96,623.34
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	322,178.11	322,178.11

წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2021	377,451.92	377,451.92
31 დეკემბერი 2021	431,445.23	431,445.23
31 დეკემბერი 2022	347,533.75	347,533.75

შენიშვნა 11: ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

ფული და ფულის ექვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ნაღდი ფული სალაროში	542,384	1,320
ფული ბანკში	796,215	148,485
სულ	1,338,599	149,805

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 12: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავდა:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,263,894	1,504,198
საექვო ვალების რეზერვი	(444,419)	(444,419)
გაცემული სესხები	7,588	367,596
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,263,009	17,520
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები		-
მისაღები პროცენტები		32,404
სულ	2,090,072	1,477,299

შენიშვნა 13: სასაქონლო მატერიალური მარაგი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

მარაგი	2022 ლარი	2021 ლარი
საქონელი	1,962,781	2,166,609
მზა პროდუქცია	859,089	799,696
ნედლეული და მასალები	504,289	128,159
მარაგი-საწვავი	42,159	21,580
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი		1,483
სულ	3,368,318	3,117,528

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 14: გრძელვადიანი სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის გრძელვადიანი სესხები მოიცავდა:

	ლარი		ლარი		ლარი	
6713662_სს საქართველოს ბანკი_EUR_6/5/2020_6%_7/29/2021_5.2%_გადახდის ვადა_6/9/2025		437,377				250,000
7016414_სს საქართველოს ბანკი_EUR_12/31/2020_5.6%_7/29/2021_5.2%_გადახდის ვადა_12/25/2025		793,050				991,822
7436678_სს საქართველოს ბანკი_GEL_6/5/2020_6%_7/29/2021_5.2%_გადახდის ვადა_6/9/2025		500,000				300,000
სულ		1,730,427				1,541,822

	გადასახდელები		პროცენტი		ძირი	
	2022	2021	2022	2021	2022	2021
1 წელზე ნაკლები	1,345,358	1,365,984	248,433	311,314	1,096,924	1,051,671
1-დან 5 წლამდე	3,980,756	6,029,516	266,265	579,139	3,714,491	5,450,377
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-	-
ჯამი	5,326,114	7,395,500	514,698	890,453	4,811,416	6,502,047

15. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

15.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

15.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე, რომლებიც პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სასამართლო დავები არ გააჩნია. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2022	2021
მოთხოვნა	13,904	44,009
ვალდებულება	-	-
სულ	13,904	44,009

ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების კატეგორიაში.

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასები	96, 218	83,110

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 28 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

2023 წლის 05 სექტემბერს კომპანიას შეეცვალა პარტნიორი, კერძოდ, ფიზიკურმა პირმა გიონი იაკობაშვილმა (პ/ნ 38001009362) ნანა იაკობაშვილის (პ/ნ 38001006509) სასარგებლოდ მოახდინა კომპანიის 100 %-იანი წილის დათმობა.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 894 737 ლარს.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ინსტიტუტებიდან დამატებით აიღო 170 000 აშშ დოლარის, 500 000 ლარის ოდენობის სესხი, ხოლო ამავე პერიოდში დაფარული აქვს 500 000 ლარის სესხი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს გზა 2015

მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

ბიზნესის აღწერა

კომპანიის დასახელება - შპს „გზა 2015“
სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 404491126
რეგისტრაციის თარიღი: 01.04.2015
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №144/პასტერის ქ. №2
ფაქტიური ადგილმდებარეობა: ქ.თბილისი, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზ. №1
ელ.ფოსტა: ltdgza2015@gmail.com
ვებ.გვერდი: www.gza2015.ge
დირექტორი: ლევან ღლონტი (33001008511)
პარტნიორი: გიონი იაკობაშვილი (38001009362 - 100%)

შპს „გზა 2015“-ის (შემდგომში კომპანია) ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს:

- ქართული ვულკანური წიდის (პემზის) ღიაკარიერული წესით მოპოვება და გადამამუშავება.
- სამშენებლო მასალების (პემზისა და ბეტონის ბლოკის) წარმოება.
- ვაჭრობა.

წარმოება და ლოჯისტიკა

კომპანიას კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ალაიანში 4 ჰექტარ ტერიტორიაზე განთავსებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წარმოება
კომპანიამ ცნობადობა ევროპული ხარისხის მანქანა-დანადგარებით წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხით, მრავალფეროვნებითა და გამძლეობით მოიპოვა.

შპს „გზა 2015“ არის მუდმივად მზარდი, მომხმარებელთა ინტერესებსა და კომფორტზე ორიენტირებული კომპანია და თავისი პროდუქციით, მომსახურების მაღალი სტანდარტითა და სწრაფი მიწოდების სერვისით მაქსიმალურად პასუხობს დამკვეთთა მოთხოვნებს.

სწორედ პროდუქციის ხარისხი, ეფექტური კომუნიკაცია და მიწოდების სწრაფი სერვისი არის ის მახასიათებლები, რისი მეშვეობითაც კომპანიამ უმოკლეს დროში ქართული ბაზრის ლიდერად დაიმკვიდრა თავი.

კომპანიას უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა მსხვილი და საშუალო ზომის დამკვეთებთან, ამავდროულად კომპანია ემსახურება საცალო სამომხმარებლო სეგმენტსაც.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კომპანიის პროდუქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის დამზადება და წარმოება ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ადგილობრივი მასალებისა და მუშახელის გამოყენებით; ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და მას უფრო კონკურენტულს და იოლად ხელმისაწვდომს ხდის. საწარმოს ადგილმდებარეობა ასევე გვამლევს ლოჯისტიკური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას და უფრო ფართე რეგიონების მოცვას.

წარმოების თანამშრომლები ღებულობენ პირდაპირი ხელფასს გამომუშავებით, რომელიც უმეტეს წილად დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ნამუშევარ საათებზე.

წარმოების დინამიკა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სამშენებლო სექტორის განვითარებასთან. საქართველოში ბოლო წლებში სამშენებლო ბიზნესის მკვეთრ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ინოვაციურ პროდუქტებზე. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა წვრილი მოთამაშეების ბაზრიდან გაქრობა და მათ ადგილს ტექნოლოგიურად და ხარისხობრივად უპირატესი კომპანიები იკავებენ. იმის გამო, რომ ინდუსტრიაში მაღალი საოპერაციო მარჟების შენარჩუნება მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და საწარმოო დანაკარგების შემცირების საფუძველზეა შესაძლებელი, სავარაუდოა რომ ბაზარზე არსებული წვრილი მოთამაშეების რაოდენობა კვლავ გააგრძელებს შემცირებას.

რისკების ანალიზი და სამომავლო პროგნოზები

როგორც წესი სამშენებლო მასალების ბიზნესი ნაკლებ რისკიან საქმიანობად არის მიჩნეული და მაღალი სარეალიზაციო მარჟების წყალობით ამ სფეროში ჩართული კომპანიები იშვიათად ხდებიან სამეწარმეო, საოპერაციო თუ ბაზრის მიერი რისკების მსხვერპლნი.

საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ფირმის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები. ხარისხიან სამშენებლო ბლოკზე არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით კომპანია სამომავლოდ გეგმავს კიდევ უფრო მეტად მოახდინოს მომხმარებლებთან საკუთარი პროდუქციის უპირატესობებისა და განმასხვავებელი ფაქტორების კომუნიკაცია. აგრეთვე გეგმავს არსებული პოზიციების გამყარებას და ეფექტური სადილერო და სადისტრიბუციო ქსელის შექმნას დედაქალაქსა და რეგიონებში. კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი რათა გაზარდოს როგორც წარმოების მოცულობა, ასევე პროდუქციის ასორტიმენტი და მოემსახუროს მომხმარებელთა უფრო ფართო სპექტრს.

შპს „გზა 2015“

დირექტორი
ლევან ლლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გზა 2015

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	10
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა.....	11
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	11
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი	11
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	11
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12
3.7. ძირითადი საშუალებები	12
3.8. არამატერიალური აქტივი	12
3.9. მოგების გადასახადი	13
3.10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები.....	13
3.11. საწესდებო კაპიტალი	13
3.12. დივიდენდები.....	13
3.13. შემოსავალი	14
3.14. ხარჯები	14
შენიშვნა 4: ამონაგები	14
შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება	14
შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
შენიშვნა 7: მიწოდების და მომსახურების ხარჯები	15
შენიშვნა 8: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16
შენიშვნა 9: ფინანსური ხარჯი	16
შენიშვნა 10: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	17
შენიშვნა 11: ფული და ფულის ექვივალენტები.....	19
შენიშვნა 12: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	20
შენიშვნა 13: სასაქონლო მატერიალური მარაგი.....	20
შენიშვნა 14: გრძელვადიანი სესხები.....	21
15. რისკების მართვა.....	21
15.1. ლიკვიდურობის რისკი.....	21
15.2. სავალუტო რისკი	22
16. პირობითი ვალდებულებები.....	22
17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	22
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	23
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „გზა 2015“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გზა 2015“-ს („კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოგება-ზარალის, საბალანსო, ფულადი მოძრაობის ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების უწყისებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „მოდIFIცირებული დასკვნის საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხისა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოდIFIცირებული დასკვნის საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 20 ივნისს და შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ვერ დავაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ფიზიკურ გადათვლას. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის, ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 3 368 318 ლარის (2021: 3 117 528 ლარი), 8 420 764 ლარის (2021: 8 800 599 ლარი) და 524 823 ლარის (2021: 1 320 ლარი) ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას) 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბრის

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს გზა 2015-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესადარებლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ლევან ლლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.

აუდიტის წარმართვისას, ჩვენ ვმოქმედებდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, რომელიც მოითხოვს ჩვენს მიერ ეტიკის მოთხოვნების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმარებასა და წარმართვას, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ აუცილებელი პროცედურების ჩატარებას. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს მატერიალური უზუსტობების (მათ შორის თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული) არსებობის რისკების შეფასებას. ზემოაღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაგეგმოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმისთვის, რომ გამოთქვას მოსაზრება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია შიდა კონტროლის სისტემა.

აუდიტი ასევე მოიცავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მიზანშეწონილობის, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და უზრუნველყოფს კვალიფიციური მოსაზრების გამოთქმის საფუძველს.

დასკვნა

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კობა სალუქვაძე
შპს ექსპერტ ჯგუფი
29 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლის
ანგარიშგება

	შენიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ამონაგები	4	17,213,915	14,903,366
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(7,970,073)	(6,860,332)
საერთო მოგება		9,243,842	8,043,034
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,100,759)	(4,767,613)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	(2,614,885)	(929,303)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	8	813,727	1,104,601
საოპერაციო მოგება		3,341,925	3,450,719
ფინანსური შემოსავალი	9	-	10,504
ფინანსური ხარჯი		(234,546)	(295,885)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(234,546)	(285,381)
მოგება დაბეგვრამდე		3,107,379	3,165,338
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,107,379	3,165,338
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან		-	(304,746)
მთლიანი სრული შემოსავალი		3,107,379	2,860,592

დირექტორი
ლევან ღლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,073,231	8,369,154
არამატერიალური აქტივები		347,534	431,445
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		-	-
		8,420,764	8,800,599
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,338,599	149,805
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12	2,090,072	1,477,299
საგადასახადო აქტივები		18,222	-
მარაგები	13	3,368,318	3,117,528
		6,815,212	4,744,632
მთლიანი აქტივები		15,235,976	13,545,231
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		1,250,246	1,250,246
გადაფასების რეზერვი		1,141,451	1,314,421
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,001,429	1,147,331
მიმდინარე მოგება		3,107,379	3,165,338
		9,500,505	6,877,336
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	3,507,193	3,559,745
გრძელვადიანი ფინანსურ იჯარა		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		3,507,193	3,559,745
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	14	138,645	1,051,671
ფინანსურ იჯარა		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,089,633	1,955,811
საგადასახადო ვალდებულებები		-	100,669
		2,228,278	3,108,151
მთლიანი ვალდებულებები		5,735,471	6,667,896
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		15,235,976	13,545,231

დირექტორი
ლევან ღლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
2021 წლის 1 იანვარი		1,250,246	1,619,167	1,810,183	4,679,596
წმინდა მოგება				3,165,338	3,165,338
სხვა სრული შემოსავალი					-
პერიოდის სრული შემოსავალი					-
გადაფასების რეზერვი			(304,746)	117,334	(187,412)
გაცემული დივიდენდი				(780,186)	(780,186)
წინა პერიოდის კორექტირებები					-
2021 წლის 31 დეკემბერი		1,250,246	1,314,421	4,312,669	6,877,336
წმინდა მოგება				3,107,379	3,107,379
სხვა სრული შემოსავალი					-
პერიოდის სრული შემოსავალი					-
გადაფასების რეზერვი			(172,970)	172,970	-
გაცემული დივიდენდი				(484,210)	(484,210)
წინა პერიოდის კორექტირებები					-
2021 წლის 31 დეკემბერი		1,250,246	1,141,451	7,108,809	9,500,505

დირექტორი
ლევან ღლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი

თბილისი, საქართველო

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშენები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		3,107,379	3,165,338
კორექტირება:			
მოგების გადასახადი			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,028,178	1,512,739
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან		172,970	(304,746)
მარაგები		(250,790)	(911,687)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(630,995)	(133,627)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		133,823	608,171
საგადასახადო ვალდებულებები		(100,669)	66,621
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		3,459,895	4,002,807
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,459,895	4,002,807
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(905,225)	(3,622,380)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		83,911	(53,993)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(821,313)	(3,676,373)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	-
გაცემული დივიდენდები		(484,210)	(780,186)
სესხები		(965,578)	(384,807)
ფინანსურ იჯარა		-	(49,404)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		(1,449,788)	(1,214,396)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	8	1,188,794	(887,962)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		149,805	1,037,768
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		1,338,599	149,805

დირექტორი
ლევან ღლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს გზა 2015 („კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლის 01 აპრილს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 404491126.

კომპანიის ძირითად ბიზნეს-საქმიანობას წარმოადგენს საშენი მასალების მოპოვება, ბეტონის პროდუქციის სამშენებლო მასალის (სამშენებლო ბლოკი) წარმოება და ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო. ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №144/ პასტერის ქ. N 2,

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია:

მფლობელი		2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გიონი იაკობაშვილი	38001009362	100%	100%

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 67-ს (2021 – 68).

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიას მართავს დირექტორი: ლევან ღლონტი (3/5 33001008511), საქართველოს მოქალაქე.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.702	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.504

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის საქონლის მიწოდება/მომსახურება და აღიარა შემოსავლად

მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7. ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა:
შენობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-10 წელი

3.8. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

3.9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

3.10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2022 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 484,210 ლარი (2021: 663,158 ლარი).

3.12. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.13. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.14. ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შენიშვნა 4: ამონაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2022 ლარი	2021 ლარი
საქონლის მიწოდება	17,213,915	14,902,900
მომსახურების გაწევა	-	466
სულ	17,213,915	14,903,366

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2022 ლარი	2021 ლარი
ძირითადი მასალების დანახარჯები	5,182,501	4,219,601
ცვეთა და ამორტიზაცია	719,001	1,084,613
წარმოების სატრანსპორტო დანახარჯები	1,309,059	640,076
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	303,321	537,086
დამხმარე მასალები	456,191	357,090
გადაზიდვის ხარჯი წარმოებაში		21,864
სულ	7,970,073	6,860,332

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	2,576,802	2,177,740
საწვავის ხარჯი	-	1,475,815
ცვეთა და ამორტიზაცია	824,622	245,040
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	-	235,876
კომუნალური ხარჯი	360,551	333,174
ბუღალტრული და იურიდიული მომსახურების ხარჯები	5,379	112,448
ოფისის ხარჯები	3,876	4,125
სხვა საგადასახადო ხარჯი	78,484	62,612
საიჯარო ქირა	45,000	49,947
საპენსიო ფონდის ხარჯი	51,615	46,624
ბანკის საკომისიო ხარჯი	17,503	19,038
კომუნიკაციის ხარჯები	5,897	2,081
მივლინების ხარჯი	-	3,091
სხვა	131,030	-
სულ	4,100,759	4,767,613

შენიშვნა 7: მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2022	2021
	ლარი	ლარი
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	779,327	393,581
ცვეთა და ამორტიზაცია	65,017	183,085
შენახვის ხარჯები	1,770,540	352,637
სულ	2,614,885	929,303

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 8: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	2022	2021
	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(1,523,053)	(729,033)
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	353	(443,971)
ჯარიმები, საურავები და სხვა არასაგადასახადო ხარჯი	5,050	3,583
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	692,948	64,820
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	10,975	
სულ	(813,727)	(1,104,601)

შენიშვნა 9: ფინანსური ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის წმინდა ფინანსური ხარჯები მოიცავდა:

ფინანსური ხარჯი - წმინდა	2022	2021
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავლები		-
სასემოსავლოს შეღავათი კოვიდ-19-თან დაკავსირებით		(10,503.80)
საპროცენტო ხარჯები	234,546.02	295,885.18
სულ	234,546	285,381

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 10: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავდა:

	მიწა	შენობები	სხვა	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	ლიზინგი	მსუბუქი კონსტრუქციები	იჯარით აღებული ქონება	სულ
თვიდირებულება												
1 იანვარი 2021	721,790	2,146,595	818,511	18,231	2,540,158	137,765	9,126	2,497,657	89,068	56,459	159,420	9,194,780
შემოსვლა	185,934	902,082	33,873	-	752,588	64,499	28,092	1,641,923	165,217	-	-	3,774,209
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	(163,830)	-	-	-	(163,830)
გასვლა	-	-	-	-	(51,773)	(17,414)	-	(17,614)	(26,720)	-	-	(113,521)
31 დეკემბერი 2021	907,724	3,048,677	852,384	18,231	3,240,974	184,850	37,219	3,958,136	227,565	56,459	159,420	12,691,637
შემოსვლა	104,932	10,216	-	(0)	92,914	37,483	7,269	568,200	-	5,085	-	826,099
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(43,604)	-	-	-	-	(201,008)	-	-	-	(244,611)
31 დეკემბერი 2022	1,012,656	3,058,893	808,780	18,231	3,333,888	222,333	44,487	4,325,328	227,565	61,544	159,420	13,273,125

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მიწა	შენობები	სხვა	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	ლიზინგი	მსუბუქი კონსტრუქციები	იჯარით აღებული ქონება	სულ
ცვეთა და გაუფასურება												
1 იანვარი 2021	-	45,725	34,238	13,627	1,384,839	78,948	3,632	1,319,009	66,801	34,593	71,189	3,052,601
პერიოდის ცვეთა	-	114,412	41,431	3,646	574,291	32,491	4,857	530,574	37,171	11,032	23,913	1,373,817
გასვლა	-	-	-	-	(51,773)	(17,414)	-	(12,036)	(22,712)	-	-	(103,936)
31 დეკემბერი 2021	-	160,137	75,670	17,274	1,907,357	94,025	8,489	1,837,547	81,259	45,625	95,102	4,322,483
პერიოდის ცვეთა	-	108,681	33,907	957	526,467	48,914	7,746	137,015	36,161	7,794	23,913	931,554
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(54,143)	-	-	-	(54,143)
31 დეკემბერი 2022	-	268,818	109,576	18,231	2,433,824	142,939	16,235	1,920,418	117,420	53,419	119,015	5,199,894
წმინდა საბალანსო ღირებულება												
1 იანვარი 2021	721,790	2,100,870	784,273	4,603	1,155,320	58,818	5,494	1,178,648	22,267	21,866	88,231	6,142,179
31 დეკემბერი 2021	907,724	2,888,540	776,715	957	1,333,617	90,826	28,730	2,120,589	146,306	10,834	64,318	8,369,154
31 დეკემბერი 2022	1,012,656	2,790,075	699,204	-	900,065	79,395	28,253	2,404,910	110,145	8,125	40,405	8,073,231

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	ლიცენზიები	სულ
თვიდირებულება		
1 იანვარი 2021	685,522.04	685,522.04
შემოსვლა	301,084.91	301,084.91
გადაფასება	-	-
გასვლა	(329,606.95)	(329,606.95)
31 დეკემბერი 2021	657,000.00	657,000.00
შემოსვლა	12,711.86	12,711.86
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	669,711.86	669,711.86

ცვეთა და გაუფასურება		
1 იანვარი 2021	308,070.12	308,070.12
პერიოდის ცვეთა	138,921.15	138,921.15
გასვლა	(221,436.50)	(221,436.50)
31 დეკემბერი 2021	225,554.77	225,554.77
პერიოდის ცვეთა	96,623.34	96,623.34
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	322,178.11	322,178.11

წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2021	377,451.92	377,451.92
31 დეკემბერი 2021	431,445.23	431,445.23
31 დეკემბერი 2022	347,533.75	347,533.75

შენიშვნა 11: ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

ფული და ფულის ექვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ნაღდი ფული საღაროში	542,384	1,320
ფული ბანკში	796,215	148,485
სულ	1,338,599	149,805

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 12: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავდა:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,263,894	1,504,198
საექვო ვალების რეზერვი	(444,419)	(444,419)
გაცემული სესხები	7,588	367,596
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,263,009	17,520
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები		-
მისაღები პროცენტები		32,404
სულ	2,090,072	1,477,299

შენიშვნა 13: სასაქონლო მატერიალური მარაგი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

მარაგი	2022 ლარი	2021 ლარი
საქონელი	1,962,781	2,166,609
მზა პროდუქცია	859,089	799,696
ნედლეული და მასალები	504,289	128,159
მარაგი-საწვავი	42,159	21,580
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი		1,483
სულ	3,368,318	3,117,528

შენიშვნა 14: გრძელვადიანი სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის გრძელვადიანი სესხები მოიცავდა:

6713662 სს საქართველოს ბანკი_EUR_6/5/2020_6%_7/29/2021_5.2%_გადახდის ვადა_6/9/2025	ლარი	ლარი				
7016414 სს საქართველოს ბანკი_EUR_12/31/2020_5.6%_7/29/2021_5.2%_გადახდის ვადა_12/25/2025	437,377	250,000				
7436678 სს საქართველოს ბანკი_GEL_6/5/2020_6%_7/29/2021_5.2%_გადახდის ვადა_6/9/2025	793,050	991,822				
	500,000	300,000				
სულ	1,730,427	1,541,822				
გადასახდელები	პროცენტი	ძირი				
2022	2021	2022	2021	2022	2021	
1 წელზე ნაკლები	1,345,358	1,365,984	248,433	311,314	1,096,924	1,051,671
1-დან 5 წლამდე	3,980,756	6,029,516	266,265	579,139	3,714,491	5,450,377
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-	-
ჯამი	5,326,114	7,395,500	514,698	890,453	4,811,416	6,502,047

15. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

15.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეკმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

15.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე, რომლებიც პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სასამართლო დავები არ გააჩნია. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2022	2021
მოთხოვნა	13,904	44,009
ვალდებულება	-	-
სულ	13,904	44,009

ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების კატეგორიაში.

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასები	96, 218	83,110

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 28 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

2023 წლის 05 სექტემბერს კომპანიას შეეცვალა პარტნიორი, კერძოდ, ფიზიკურმა პირმა გიონი იაკობაშვილმა (პ/ნ 38001009362) ნანა იაკობაშვილის (პ/ნ 38001006509) სასარგებლოდ მოახდინა კომპანიის 100 %-იანი წილის დათმობა.

შპს გზა 2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 894 737 ლარს.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ინსტიტუტებიდან დამატებით აიღო 170 000 აშშ დოლარის, 500 000 ლარის ოდენობის სესხი, ხოლო ამავე პერიოდში დაფარული აქვს 500 000 ლარის სესხი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს გზა 2015

მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

ბიზნესის აღწერა

კომპანიის დასახელება - შპს „გზა 2015“
სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 404491126
რეგისტრაციის თარიღი: 01.04.2015
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №144/პასტერის ქ. №2
ფაქტიური ადგილმდებარეობა: ქ.თბილისი, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზ. №1
ელ.ფოსტა: ltdgza2015@gmail.com
ვებ.გვერდი: www.gza2015.ge
დირექტორი: ლევან ღლონტი (33001008511)
პარტნიორი: გიონი იაკობაშვილი (38001009362 - 100%)

შპს „გზა 2015“-ის (შემდგომში კომპანია) ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს:

- ქართული ვულკანური წიდის (პემზის) ლიკარიერული წესით მოპოვება და გადამუშავება.
- სამშენებლო მასალების (პემზისა და ბეტონის ბლოკის) წარმოება.
- ვაჭრობა.

წარმოება და ლოჯისტიკა

კომპანიას კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ალაიანში 4 ჰექტარ ტერიტორიაზე განთავსებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წარმოება
კომპანიამ ცნობადობა ევროპული ხარისხის მანქანა-დანადგარებით წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხით, მრავალფეროვნებითა და გამძლეობით მოიპოვა.

შპს „გზა 2015“ არის მუდმივად მზარდი, მომხმარებელთა ინტერესებსა და კომფორტზე ორიენტირებული კომპანია და თავისი პროდუქციით, მომსახურების მაღალი სტანდარტითა და სწრაფი მიწოდების სერვისით მაქსიმალურად პასუხობს დამკვეთთა მოთხოვნებს.

სწორედ პროდუქციის ხარისხი, ეფექტური კომუნიკაცია და მიწოდების სწრაფი სერვისი არის ის მახასიათებლები, რისი მეშვეობითაც კომპანიამ უმოკლეს დროში ქართული ბაზრის ლიდერად დაიმკვიდრა თავი.

კომპანიას უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა მსხვილი და საშუალო ზომის დამკვეთებთან, ამავდროულად კომპანია ემსახურება საცალო სამომხმარებლო სეგმენტსაც.

კომპანიის პროდუქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის დამზადება და წარმოება ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ადგილობრივი მასალებისა და მუშახელის გამოყენებით; ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და მას უფრო კონკურენტულს და იოლად ხელმისაწვდომს ხდის. საწარმოს ადგილმდებარეობა ასევე გვაძლევს ლოჯისტიკური უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას და უფრო ფართე რეგიონების მოცვას.

წარმოების თანამშრომლები ღებულობენ პირდაპირი ხელფასს გამომუშავებით, რომელიც უმეტეს წილად დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ნამუშევარ საათებზე.

წარმოების დინამიკა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სამშენებლო სექტორის განვითარებასთან. საქართველოში ბოლო წლებში სამშენებლო ბიზნესის მკვეთრ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ინოვაციურ პროდუქტებზე. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა წვრილი მოთამაშეების ბაზრიდან გაქრობა და მათ ადგილს ტექნოლოგიურად და ხარისხობრივად უპირატესი კომპანიები იკავებენ. იმის გამო, რომ ინდუსტრიაში მაღალი საოპერაციო მარჟების შენარჩუნება მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და საწარმოო დანაკარგების შემცირების საფუძველზეა შესაძლებელი, სავარაუდოა რომ ბაზარზე არსებული წვრილი მოთამაშეების რაოდენობა კვლავ გააგრძელებს შემცირებას.

რისკების ანალიზი და სამომავლო პროგნოზები

როგორც წესი სამშენებლო მასალების ბიზნესი ნაკლებ რისკიან საქმიანობად არის მიჩნეული და მაღალი სარეალიზაციო მარჟების წყალობით ამ სფეროში ჩართული კომპანიები იშვიათად ხვდებიან სამეწარმეო, საოპერაციო თუ ბაზრის მიერ რისკების მსხვერპლნი.

საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ფირმის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები. ხარისხიან სამშენებლო ბლოკზე არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით კომპანია სამომავლოდ გეგმავს კიდევ უფრო მეტად მოახდინოს მომხმარებლებთან საკუთარი პროდუქციის უპირატესობებისა და განმასხვავებელი ფაქტორების კომუნიკაცია. აგრეთვე გეგმავს არსებული პოზიციების გამყარებას და ეფექტური სადილერო და სადისტრიბუციო ქსელის შექმნას დედაქალაქსა და რეგიონებში. კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი რათა გაზარდოს როგორც წარმოების მოცულობა, ასევე პროდუქციის ასორტიმენტი და მოემსახუროს მომხმარებელთა უფრო ფართო სპექტრს.

შპს „გზა 2015“

დირექტორი
ლევან ღლონტი

28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო